თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2020 წლის 16 ოქტომბრის სხდომის

ო ქ მ ი N 2

2020 წლის 15 ოქტომბერს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, ლიანა ბითაძე, სალომე ოქრუაშვილი, ვახტანგ გოილაძე.** ონლაინ ჩაერთო: **მარიამ ჩხარტიშვილი, ქეთევან ხუციშვილი, ნინო მინდაძე, ეკა კვაჭანტირაძე, ლევან გორდეზიანი, ელდარ ბუბულაშვილი, ავთანდილ სონღულაშვილი.** საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი:

1. **ინსტიტუტის მიმდინარე წლის განვლილი პერიოდის მუშაობის ანგარიში.**
2. **მიმდინარე წლის წლიური თემების შესრულების საკითხი.**
3. **მომავალი წლის სამუშაოები, კერძოდ, სამეცნიერო კონფერენციების დაგეგმვა.**
4. **მიმდინარე საკითხები.**

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

1. ინსტიტუტის მიმდინარე წლის განვლილი პერიოდის მუშაობის ანგარიში.

ლავრენტი ჯანიაშვილმა აღნიშნა, რომ 2019 წელს დაგეგმილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ეძღვნებოდა კავკასიას, Covid 19-ის ეპიდსიტუაციის გაუარესების გამო გადაიდო. მან ბატონ ვალერიან ვაშაკიძეს (დირექტორის მოადგილე, პროექტის ხელმძღვანელი) სთხოვა გაეცნო საქმის ვითარება.

ვალერიან ვაშაკიძე: შექმნილი ეპიდსიტუაციის გამო, მივმართეთ შოთა რუსთაველის ეროვულ სამეცნიერო ფონდს, რომ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„კავკასიის კარი - საქართველოს ჩრდილოეთი კარიბჭე,“** რომელიც დაფინანსდა ფონდის საკონფერენციო გრანტით, გადატანილი ყოფილიყო მომავალ წელს, რაზეც მივიღეთ თანხმობა. აღნიშნული კონფერენცია ჩატარდება 2021 წლის 25-27 ივნისს. ვფიქრობ, ეს მისაღები იქნება, რადგან უცხოელი სტუმრების ჩამოსვლა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. როდესაც კონფერენციის უცხოელ მონაწილეებს დავუკავშირდით და ვთხოვეთ

მასალის გამოგზავნა, მათ ეს ვერ მოახერხეს, გარდა ერთი მონაწილისა. ორი-სამი გამონაკლისის გარდა, არც ქართველებისგან მიგვიღია მასალა, ვინაიდან დაკეტილი იყო არქივები, ბიბლიოთეკები, აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, ვერ მოახერხეს მუშაობა. მეცნიერებთან მუშაობას განვაახლებთ იანვარში. ვფიქრობ, ამ სიტუაციაში საუკეთესო გამოსავალი იყო კონფერენციის გადადება. თემატიკა იგივე იქნება, მივიღებთ მასალებს კავკასიის კართან, გვიანდელ დარიალთან, იგივე იბერიის კართან დაკავშირებით: ისტორიული, ეთნოლოგიური, ეტიმოლოგიური და სხვა სამეცნიერო მიმართულების მასალებს. არ არის შეზღუდვა არც ეპოქალურად.

ლავრენტი ჯანიაშვილმა მიმდინარე წლის განმავლობაში ინსტიტუტში ჩატარებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სთხოვა დირექტორს, გიორგი ჭეიშვილს.

გიორგი ჭეიშვილი: მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია მიმდინარე წლის განმავლობაში ინსტიტუტში შესრულებული სამუშაოების შესახებ. დასრულდა ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიისთვის გამოყოფილი ფართის რემონტი. ეს სივრცე მიიღებს სასწავლო–სამუზეუმო სახეს. სარემონტო სამუშაოებისთვის თანხა გამოყო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ. მადლობას ვუხდით ქალბატონ ლიანა ბითაძეს, რომელმაც ძალზე დიდი სამუშაო ჩაატარა და ამჟამად უკვე თავის ქალებს ათავსებს კარადებში; ბატონ ვაჟა კიკნაძეს, რომლის დირექტორობის დროს დაიწყო სასწავლო მუზეუმის შექმნისთვის ზრუნვა და ქალბატონ ნუნუ ოვსიანიკოვას, რომელმაც გამოყო ეს სივრცე.

განათლების სამინისტროდან შემოვიდა წერილი, რომ 50 000 ლარის ფარგლებში, დააფინანსებს მოკლევადიან ინფრასტრუქტურულ პროექტებს (სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებს), რომლებიც დაკავშირებულია სამეცნიერო დაწესებულების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან. ჩვენ მივმართეთ თხოვნით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას; იქ, სადაც ლაბორატორიაა განთავსებული, არის კიდევ თავისუფალი ფართი (დაახლოებით, 100 m^2), იქნებ ეს ფართი ჩვენ შემოგვიერთონ, რათა საკონფერენციო დარბაზის მოწყობა შევძლოთ. რამდენად დაკმაყოფილდება ჩვენი თხოვნა არ ვიცით, თუმცა უნივერსიტეტმა გადაუგზავნა სამინისტროს ჩვენი მოთხოვნა.

გარდა ამისა, ინსტიტუტისათვის შევიძინეთ პრინტერები.

ყველა განყოფილებას უკვე მზად აქვს კრებულები დასაბეჭდად. ინსტიტუტის მომავალი წლის ბიუჯეტშიც გამოიყოფა თანხები, რათა სრულად დაფინანსდეს განყოფილებების პერიოდული გამოცემების დაკაბადონებისა და დიზაინის ხარჯები.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** მარიამ ჩხარტიშვილმა, ლევან გორდეზიანმა, როლანდ თოფჩიშვილმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ლიანა ბითაძემ, სალომე ოქრუაშვილმა, ვახტანგ გოილაძემ.

დაადგინეს: მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებლად შეფასდეს მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ინსტიტუტის მუშაობა.

მოისმინეს:

2. *მიმდინარე წლის წლიური თემების შესრულების საკითხი.*

ლავრენტი ჯანიაშვილი: მიმდინარე წლის წლიურ თემებთან დაკავშირებით არსებულ ვითარებას გაგაცნობთ ინსტიტუტის დირექტორი გიორგი ჭეიშვილი.

გიორგი ჭეიშვილი: რაც შეეხება მიმდინარე წლის წლიურ თემებს, შესრულების ვადების გადადება არ მოხდება, ჩვეულებრივად მოგვიწევს ანგარიშგება როგორც აქამდე ხდებოდა. გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება, რომ ჩვენ შემმოწმებელ ორგანოს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, აქვს თავისი კრიტერიუმები. წელს ერთ–ერთი ასეთი კრიტერიუმი იყო პუბლიკაციების შესაბამისობა წლიურ თემასთან. განყოფილებების ხელმძღვანელებს ვთხოვ, მიაქციონ ყურადღება, რომ თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილი პუბლიკაციებიდან, მინიმუმ ერთი მაინც იყოს შესაბამისობაში წლიურ თემასთან.

ლავრენტი ჯანიაშვილი: ჩვენ გვაქვს შეთანხმებაც, რომ თითოეული წლიური თემა წელს გაივლიდა რეცენზირებას განყოფილებაში, წაიკითხავდნენ თანამშრომლები და რაღაც დასკვნებსაც დადებდნენ, ეპიდსიტუაციის გამო, აქამდე არ მუშაობდა ბიბლიოთეკები, არქივები, ამიტომ ცოტა რთული იქნება, თუმცა შეუძლებელი არაფერია.

გაიმართა მსჯელობა **აზრი გამოთქვეს:** მარიამ ჩხარტიშვილმა, ლევან გორდეზიანმა, ლავრენტი ჯანიაშვილმა, სალომე ოქრუაშვილმა, ავთანდილ სონღულაშვილმა.

წელს, ალბათ, გაჭირდება მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ მოთხოვნილი კრიტერიუმის (პუბლიკაციის შესაბამისობა წლიურ თემასთან) შესრულება. მომავალი წლიდან უნდა გავითვალისწინოთ მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოთხოვნილი კრიტერიუმის დაკმაყოფილება.

მოისმინეს:

3. *მომავალი წლის სამუშაოები, კერძოდ, სამეცნიერო კონფერენციების დაგეგმვა.*

ლავრენტი ჯანიაშვილი: გასულ წელს ჩავატარეთ გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაზე გამოითქვა ჩვენი და პოლონელი მეცნიერების სურვილი, რომ ეს კონფერენცია გამხდარიყო მუდმივმოქმედი. ყოველ მეორე წელს ჩატარებულიყო საქართველოში და ანალოგიურად, პოლონეთში. წლევანდელი ეპიდსიტუაციის გამო, პოლონელებმა ვერ შეძლეს ამ კონფერენციის ჩატარება და გადაიტანეს მომავალი წლისათვის. პოლონელების მხრიდან იყო თხოვნა, რომ თუ ჩვენ ჩავატარებდით გაისად დაგეგმილ კონფერენციას ისინი გადაიტანდნენ სექტემბრისათვის თავიანთ კონფერენციას. ვიმსჯელეთ და შევთანხმდით, რომ კვლავ დაიწეროს პროექტი (საკონფერენციო გრანტის მოსაპოვებლად) შოთა რუსთაველის

ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარსადგენად. თუ ვერ შევძლებთ დაფინანსების მოპოვებას, შესაძლებელია, კონფერენცია უფრო მცირე მასშტაბით ჩატარდეს. მოგეხსენებათ, მომავალი წელი საიუბილეო წელია, დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავი და ინსტიტუტის დაარსების 80 წლისთავია. გამოითქვა მოსაზრება, რომ შესაძლებელი იქნებოდა გრიგოლ ფერაძის კონფერენცია მიგვეძღვნა დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავისათვის. სასურველი იქნება ამასთან დაკავშირებით მოვისმინოთ ჩვენი კოლეგების მოსაზრება.

მომავალ წელს, მაისის მეორე ნახევარში, ქალბატონი ლიანა ბითაძე გეგმავს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებას, რომელიც ტარდება 5 წელიწადში ერთხელ და ეძღვნება მალხაზ აბდუშელიშვილს საიუბილეო თარიღს.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:**

ლევან გორდეზიანი: ცალკეულ თარიღებთან, კონკრეტულ მოვლენასთან დაკავშირებით შესაძლებელია ონლაინ კონფერენცია ჩატარდეს. ცუდი არ იქნება ინსიტუტმა ყველა მნიშვნელოვანი თარიღი აღნიშნოს, ამას არ სჭირდება დიდი ფინანსები.

ლავრენტი ჯანიაშვილი: ასეთ შემთხვევაში, რომელიმე განყოფილებამ, ანდა მეცნიერთა ჯგუფმა უნდა გამოიჩინოს ინიციატივა.

მოგეხსენებათ, 2020 წლის 10 ნოემბრისათვის დაგეგმილი გვაქვს გიორგი ჩიტაიასადმი მიძღვნილი დისკუსია, რომელიც როგორც ჩანს, გაიმართება ონლაინ რეჟიმში. ეს დისკუსია საველე–ეთნოგრაფიული ექსპედიციების მუშაობის მეთოდიკისადმი იქნება მიძღვნილი, რომლის ერთ–ერთი ფუძემდებელი და წამომწყები გიორგი ჩიტაია ბრძანდებოდა. გვაქვს რამდენიმე გამოხმაურება, ვფიქრობთ, საკმაოდ საინტერესო დისკუსია შედგება. ჯერ–ჯერობით მხოლოდ 5–6 გამოხმაურება მივიღეთ. ბოლო ვადა 25 ოქტომბრამდეა და იმის მიხედვით, თუ ვინ მიიღებს მონაწილეობას შევქმნით კონკრეტულ პროგრამას.

ელდარ ბუბულაშვილი: მომავალ წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ექსპანსიის 100 წელი სრულდება, ეს ძალიან მნიშვნელოვანი, და საინტერესო თემატიკაა. შესაძლებელია ჩვენმა განყოფილებამ დაგეგმოს კონფერენცია.

დაადგინეს: სამეცნიერო საბჭოს მომავალ სხდომაზე ყველა განყოფილებამ წარმოადგინოს წინადადებები შემდგომი კონფერენციების დაგეგმვასთან დაკავშირებით.

მოისმინეს:

4. *მიმდინარე საკითხები.*

გიორგი ჭეიშვილი: მიუხედავად პანდემიისაგან გამოწვეული შეზღუდვებისა არსებობს ინსტიტუტის ბიბლიოთეკისა და არქივის გამოყენების საჭიროება. კვირაში ერთი დღე,

ორშაბათი, იქნება საბიბილიოთეკო დღე, და ვისაც სურს ისარგებლოს ბიბლიოთეკის რესურსებით, გთხოვთ, წინასწარ აცნობოთ ბატონ შალვა გლოველს. განისაზღვროს, რომ 14:00 სთ-დან 15:00 საათამდე, იმუშაოს ბიბლიოთეკამ.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ გვქონდა საუბარი შინაგანაწესის შედგენის შესახებ. ბატონმა ვალერიან ვაშაკიძემ მოამზადა პროექტი, რომელზეც შევთანხმდით და საჭიროა დავიცვათ ჩვენი გრაფიკი. ეპიდსიტუაციის დარეგულირების შემდეგ ვიმუშავებთ ამ გრაფიკით: 1 დღე იქნება განყოფილების, 1 დღე – საინსტიტუტო.

კიდევ ერთი, თხოვნა შემოვიდა მასწავლებელთა ასოციაციიდან, ქალბატონი მანანა შეყილაძეა მისი ერთ–ერთი ორგანიზატორი. ამ ასოციაციას აქვს ნორჩი ისტორიკოსის საზაფხულო სკოლა. ისინი აქტიურად თანამშრომლობენ საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან, მაგრამ ეპიდსიტუაციის გამო, გადავიდნენ ონლაინ რეჟიმზე, თუმცა ამას სიკეთეც მოყვა. პრაქტიკულად მთელი საქართველოს ჩართვა მოხერხდა საზაფხულო სკოლის მუშაობაში. არა მარტო თბილისში, არამედ რეგიონებში მცხოვრებ მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. შემოვიდა თხოვნა, ჩვენი მეცნიერები თუ შეძლებენ ლექციის წაკითხვას, სადაც სიახლეებს გააცნობენ როგორც მოსწავლეებს ისე პედაგოგებს. მსურველებს დავაკავშირებთ ქალბატონ მანანა შეყილაძესთან.

ასევე, გთხოვთ, შევთანხმდეთ სამეცნიერო საბჭოს მომდევნო სხდომის გამართვის სავარაუდო დროსთან დაკავშირებით.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** მარიამ ჩხარტიშვილმა, ლევან გორდეზიანმა, ლიანა ბითაძემ, ქეთევან ხუციშვილმა, ვახტანგ გოილაძემ.

დაადგინეს: სამეცნიერო საბჭოს შემდეგი სხდომის გამართვის სავარაუდო თარიღად განისაზღვროს 10 ნოემბერი, პარასკევი, 2 საათი.

სხდომამ დაადგინა:

1. **მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებლად შეფასდეს მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ინსტიტუტის მუშაობა.**
2. **სამეცნიერო საბჭოს მომავალ სხდომაზე ყველა განყოფილებამ წარმოადგინოს წინადადებები შემდგომი კონფერენციების დაგეგმვასთან დაკავშირებით.**
3. **სამეცნიერო საბჭოს შემდეგი სხდომის გამართვის სავარაუდო თარიღად განისაზღვროს 10 ნოემბერი, პარასკევი, 2 საათი.**

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: ლავრენტი ჯანიაშვილი

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: ლიანა ბითაძე

16. 10. 2020